

დავით შავიანიძე

ანსუ ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის ასოც. პროფესორი,
ტ. ფუტკარაძის სახელობის ქართველოლოგიის ცენტრის მკვლევარი. ეთნოლოგი

ORCID : 0000-0002-0568-1226

ლუიზა ხაჭაპურიძე

ფილოლოგიის დოქტორი, ანსუ ასოც. პროფესორი

ORCID : 0000-0002-1991-2005

ადიგენის ტოპონიმთა სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი საველე მასალაში ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით

აბსტრაქტი

ტერიტორიული სახელწოდებების წარმოშობას, სტრუქტურას, ლექსიკურ და კულტურულ-ისტორიულ თავისებურებებს სწავლობს. ტოპონიმთა შესწავლა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ენობრივი და კულტურული მემკვიდრეობის კვლევის კუთხით, არამედ რეგიონის სოციალურ-ისტორიული და გეოგრაფიული თავისებურებების აღსადგენადაც.

წინამდებარე კვლევაში წარმოდგენილია ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფლებში 2024 წელს ჩატარებული სტუდენტური ეთნოგრაფიული ექსპედიციის შედეგად მოპოვებული საველე მასალა. ანალიზში განხილულია გეოგრაფიული და დასახლებული ობიექტების (მთები, ხევები, წყაროები, უბნები, ყანები და სხვ.) სახელწოდებები. ნაშრომი მიზნად ისახავს ადიგენის ტოპონიმთა ლექსიკური, სტრუქტურულ-სემანტიკური, ეტიმოლოგიური და კულტურულ-ტრადიციული ასპექტების შესწავლას, რათა გამოიკვეთოს მათი ენობრივი თავისებურებები და ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა.

გამოყენებულია საველე მასალის დოკუმენტირება, რესპონდენტებთან ინტერვიუები და ტოპონიმური, ტერმინოლოგიური და დიალექტური ლექსიკონების ანალიზი. კვლევაში გამოყენებულია კომპარატიული მეთოდი, რაც შესაძლებელს ხდის სახელწოდებების ენობრივი წარმომავლობისა და სემანტიკური შრეების იდენტიფიკაციას.

ტოპონიმები დაყოფილია სტრუქტურულ ტიპებად: მარტივი, კომპოზიტიური, აფიქსური და მსაზღვრელ-საზღვრულიანი სახელები. მათ შორის მრავალი ასახავს ადგილობრივ გეოგრაფიულ პირობებს, სოციალურ ურთიერთობებს, ისტორიულ მემკვიდრეობასა და სამეურნეო პრაქტიკას.

კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ ადიგენის ტოპონიმები წარმოადგენენ დინამიკურ და შინაარსობრივად მრავალშრიან ლექსიკურ ერთეულებს, რომელთა მეცნიერული შესწავლა მნიშვნელოვანია ენობრივი მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად და მომავალი კვლევებისთვის საიმედო საფუძვლის შესაქმნელად.

საკვანძო სიტყვები: ტოპონიმოლოგია, საველე ექსპედიცია, სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი, კულტურული მემკვიდრეობა

David Shavianidze

*Associate Professor at the ATSU Department of History and Archaeology,
Researcher at the T. Futkaradze Center for Kartvelian Studies; Ethnologist*

Luiza Khachapuridze

Doctor of Philology, Associate Professor at ATSU

STRUCTURAL AND SEMANTIC ANALYSIS OF ADIGENI TOPONYMS BASED ON FIELD ETHNOGRAPHIC MATERIALS

ABSTRACT

Toponymy is one of the essential branches of linguistics that explores the origin, formation, linguistic structure, and cultural-historical significance of place names. The study of toponyms contributes not only to understanding linguistic and cultural heritage but also supports the reconstruction of the socio-historical and geographical characteristics of a region. This paper presents toponymic data collected during the student ethnographic expedition organized by Akhaltsikhe State University in 2024 in the villages of the Adigeni region. The toponyms in Adigeni reflect local social, geographical, and historical contexts. The research analyzes names of natural and residential sites—such as mountains, valleys, springs, fields, and neighborhoods — based on fieldwork and oral testimonies. The aim of the study is to conduct a lexical, structural-semantic, etymological, and cultural analysis of Adigeni’s toponyms, in order to determine their linguistic features and historical-cultural significance.

The methodological approach includes documentation of toponyms, interviews with local respondents, and analysis of relevant lexicographic and ethnographic sources. A comparative method was used to examine the linguistic origins and semantic nuances of toponyms by referencing dialectal, terminological, and toponymic dictionaries.

The structural classification identifies simple-rooted, affixed, compound, and modifier-marked toponyms, which reveal diverse layers of language formation. Many names reflect geographical features, local beliefs, ownership, social structures, or historical memory, thus enriching the cultural topography of the region.

The research confirms that Adigeni's toponyms are dynamic linguistic units that embody both linguistic richness and cultural continuity. Their scientific documentation and analysis play a crucial role in preserving linguistic heritage and providing valuable data for future studies.

Keywords: *Toponymy, Field expedition, Structural-semantic analysis, Cultural memory*

ტოპონიმის ენათმეცნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია, რომელიც ტერიტორიული სახელების წარმოშობის, ფორმირების, ენობრივი სტრუქტურისა და კულტურულ-ისტორიული დატვირთვის შესწავლას ემსახურება. ტოპონიმთა კვლევა არა მხოლოდ ენობრივი და კულტურული მემკვიდრეობის კვლევის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს არამედ რეგიონის სოციალურ-ისტორიული, გეოგრაფიული თავისებურებების აღდგენასაც უწყობს ხელს.

ჩვენს ნაშრომში წარმოდგენილია 2024 წელს ადიგენის სოფლებში აწესილი მიერ ორგანიზებული სტრუქტურული ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები. ადიგენის რეგიონის ტოპონიმები ასახავენ ადგილობრივ სოციალურ, გეოგრაფიულ და ისტორიულ გარემოებებს. მოხსენებაში გაანალიზებულია დასახლებებში არსებული გეოგრაფიული ადგილების (მთა, გორა, ხევი, წყარო, რუ, ყანა-ჭალა, უბანი...) სახელწოდებები.

აღნიშნული ნაშრომი მიზნად ისახავს ადიგენის ტოპონიმთა ლექსიკურ, სტრუქტურულ-სემანტიკურ, ეტიმოლოგიურ და კულტურულ ანალიზს, რათა განისაზღვროს მათი ენობრივი თავისებურებები და ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა.

მეთოდოლოგია:

კვლევის პროცესში გამოყენებული იქნა ტოპონიმთა დოკუმენტირება, რესპონდენტებთან ინტერვიუები და შესაბამისი ლიტერატურული წყაროების ანალიზი. კერძოდ:

- **კომპარატიული ანალიზი:** ადგილობრივი ტოპონიმები შედარებულ იქნა ტერმინოლოგიურ, ტოპონიმურ და დიალექტურ ლექსიკონებს მათი მნიშვნელობების, სიმბოლიკისა და ენობრივი წარმომავლობის განსაზღვრისთვის.

მსჯელობა:

სტრუქტურულად ტოპონიმები შეიძლება დაიყოს შემდეგ კატეგორიებად:

გვხვდება მარტივფუძიანი, კომპოზიტიური, აფიქსური და მსაზღვრელ-საზღვრულიანი ტოპონიმები:

მარტივი ტოპონიმები:

არალი – მამაჩემის მამისგან ვიცი, არალი იმიტომ დაერქვაო, არავინ ცხოვრობდაო, მართლაც ამ სოფელში არც თათრები იყვნენ და არც ქართველები“ (მთქმელი ზ. მერაბიშვილი).

რთულია ზუსტი ეტიმოლოგია აღნიშნული სიტყვისა (ყაზახეთშია არალის ზღვა, გეოგრაფიულ სახელთა ორთოგრაფ. ლექსიკონი), მითოლოგიურ ლექსიკონის მიხედვით ქვესკნელის ერთ-ერთი გავრცელებული სახელწოდება, აქადურ ტექსტში დადასტურებულია არალის მთა, სადაც თითქოს ოქროს საბადოებია) – ზ. კიკნაძე, მითოლოგიური ენციკლოპედია ყმანვილთათვის, 2003)

ფარება – „ფარება ვიციტ ცხვრის სადგომია. ორი ფარება არის ,ქვემო და ზემო. ცხვრის ადგილებია. ადრე ცხვრის სადგომი იყო“.

აფიქსური ტოპონიმები

-ებ სუფიქსიანი:

პარტიელები – პარტიელები ჰქვია სამხრეთით ყანებს, სადაც პარტიის წევრებს საუკეთესო მიწის ნაკვეთს აძლევდნენ.

პირდაპირები – უბნის სახელია. „ამას ქვია „პირდაპირები“, რადგან ეს ახალი დასახლებაა 1960-იანი წლებიდან. პირდაპირები ჰქვია, რადგან სოფლიდან პირდაპირ ეს უბანი ჩანდა და მერე აქ დავსახლდით“.

მეიდნები – მ ო ე დ ა ნ ი (ქგლ), სხვათა ენაა, ქართულად მინდორი და ფორე ჰქვიან (საბა), ჩვენი რესპოდენტების განმარტებით „მეიდნები ჰქვია, რადგან ეს ადგილი ვილაც მეიდან ბეგის სამფლობელო ყოფილა“ .

ხოდაბუნები – (სპარ. ხუდაბუნ „საბატონო მიწა“), დიდი ახო ტყეში (ფშავ, ლლონტი, კილო-თქმათა სიტყვის კონა, 1974), დიდი ფართობის, კარგი სახნავ-სათესი მიწა (ქგლ).

ჭალები („წყლის პირი ნაყოფიერი“ (საბა); ვაკე ადგილი (ტყიანი ან უტყეო) მდინარის პირას, ქგლ) – „ჭალები მდინარისპირას სათესი ნაყოფიერი მიწებია, კარგი მოსავალი იცის, ზოგს ხეხილი აქ გაშენებული, ზოგი კარტოფილს თესავს“ (მთქმელი პ. ლობჯანიძე)

ურწყავები – „ურწყავები“ ჰქვია, რადგან ძალიან შორს იყო და არ ირწყვებოდა.

ჩატეხილები – „ჩატეხილები ჰქვია, აღმართზე ცხოვრობენ, მაგრამ ტერასასავითაა და ძნელი მისასვლელი იყო.

ასკილვანები – ასკილიანი ადგილებია. ახლაც ასკილს ვკრიფავთ.

საკურდღლეები – „იქ ბევრი კურდღელი იყო ხოლმე და მოსავალს აფუჭებდა, ამიტომ საკურდღლეები დაარქვეს.“

ნა- პრეფიქსიანი:

ნაფუზარი/ ნაფუძვრები – „უძახიან იმიტომ, რომ ადრე დასახლება ჰყოფილა, მერე კარგა ხანს არავინ ცხოვრობდა და შემდეგ კონუმისტების დროს აღდგა, ახლა იქ მერაბიშვილები ცხოვრობენ“.

ნატბეურები – ნატბეურები ადრე ტბა ყოფილა პატარა, რომ მოთხარო მიწა, ახლაც წყალი ამოდის.

ნაქცევი – „მიწა მიდის და სახლები დაიშალა და ამიტომ მერე დაერქვა ნაქცევი.“

სხვადასხვა სუფიქსიანი:

ქაცარაული – უდის მოსახლეობის განმარტებით: „სათიბის სახელია ქაცარაული, ქაცარა არის ქაცვი, ბევრია აქეთ და სწორედ აქედან მოდის ქაცარაული. კომუნისტების დროს აქედან ქაცვს ვაბარებდით კოლმეურნეობას“. ლექსემა ლექსიკონებში გადავამოწმეთ. ო. ქაჯაიას „მეგრულ ქართულ ლექსიკონში“ ქაცარა თხის შვილია, თიკანი (2001), მაგრამ ადიგენში თხები არც კომუნისტების დროს და არც ახლა არავის ჰყავს, თუმცა უძველეს დროს რა იყო, ვერ ვიტყვით.

ბუზმარეთი – ბუზმარეთს ისტორიულად, გადმოცემით ვიცი, რომ ეს ბუზმარ მეფის და ბაკურ მეფის ადგილები იყო.

მდინარე ქვაბლიანი – ჩვენი რესპონდენტების განმარტებით, „მდინარეს ჩვენთან ქვაბლიანი ჰქვია, ბევრი ქვაა და მაგიტო“. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში **ქვაბურ/ ქვაბულ** ნიშნავს **ტაფობს**, დაცემული, ჩავარდნილი ადგილი (მთებს შორის). ეს განმარტება ნამდვილად შეესაბამება მდინარე ქვაბლიანს.

კომპოზიტური:

შუშანქალა – „შუშანქალას მთა – ნაციხარი და ნაეკლესიარია, ამის გარშემო დასახლებას ერქვა რაბათი, შუშანქალა მეშვიდე საუკუნეში მურვან ყრუმ დაანგრია, შემდეგ თავად შახბურადის შვილმა შუშანმა აღადგინა ეს ციხე და ამიტომ დაერქვა შუშანის ქალაქი“.

ცივწყარო – „უგემრიელესი ცივი წყლებია, მკვდარს გააცოცხლებს.“

უდივლები (უდის ველები) – „**უდივლები**“ ჰქვია, **უდის ველები**, ძველი დასახლება ყოფილა, სასმელი წყალის უქონლობის გამო დასახლდნენ მდინარის პირას.

უდიჭალა – „უდის ჭალები ადრე უდეს ეკუთვნოდა, ახლა მდინარის პირას არის.“

ბაირბახჩები – „ბაირახჩებს ვეძახით დიდი ბალები გვაქვს ხეხილის, ადრე კოლმეურნეობის იყო“ (გ. მერაბიშვილი). ბაირი- ქვიშის გამკვრივებული ბორცვები, მათ შორის მოქცეული ჩადაბლებებით (ლიფონავა, კარლო, გეომორფოლოგიური ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი, 2002) ბაღჩა (სპარს.) – პატარა ბაღი,

სოლიფერდი/ სალიფერდი-ქვიანი ფერდობი (სოლი/სალი პიტალო ქვა).

თაროყანები – ეს არის ყანა, რომელიც ტერასებად გვაქვს, ტერასები თაროებს ჰგავს და თაროყანას ვეძახით.

მსაზღვრელ – საზღვრულიანი:

ა) ატრიბუტული

შავი ტბა – „თრიალაზე ზევით, პატარა ბუნებრივი ტბა, უძიროსავით შავად ჩანს და შავი ტბა ჰქვია“ (მზია ბუიძე, 75 წლის).

ბ) სუბსტანტიურ მსაზღვრელ-საზღვრულიანი:

ირმის ქალა – „ირმის ქალა გვაქვს აგერ ასასვლელში, ადრე ირმები ჩამოდიოდნენ, ბევრი იყო აქეთ ირემი.“

ყარალაშვილების უბანი /ყარათუბანი – „ყარალაშვილების გვარია ბევრი იქ და ეტყობა სოფლის სახელიც აქედან არის.“

შაშვის წვერი/ შავშის წვერი – „აჭარა-თრიალეთის მთებს ჰქვია, ჩვენში **შაშვის წვერსაც** ვეძახით, მაგრამ უფრო სწორი „**შავშის წვერია**“.

ერბოას მთა – „ძალიან კარგი, ნოყიერი ბალახია მთაში, ამიტომაც მას ერბოას მთას ვუწოდებთ. იქ რომ ძროხებს ავიყვანთ ზაფხულში რძე ისეთი ცხიმოვანია, დაყენებულ რძეს თავზე ორი თითის დადება ერბო ადგას“ (მთქმელი ნ. ასლანიკაშვილი).

ირმის ეკლესია/ ირმისა – „რატომ დაერქვა ირმის ეკლესია,თურმე აღდგომის დღესასწაულზე მოდიოდა ირემი და კლავდნენ და ქამდნენ. ერთ დღესაც როცა უნდა დაეკლათ,ირემმა დაიგვიანა და რომ მოვიდა დასვენება არ აცადა. რახან დაკლეს, თითქოს ირემს დაუნყევლია,რომ ეკლესიის ძირი აღმა და დაღმაო და დაინგრა ეკლესია.იქ არის სტელა და ნუსხური ანბანითაა წარწერა ზედ“ (მთქმელი ჟ. ფეიქრიშვილი).

ხუცის წყარო – „სულ ადრე თურმე საეკლესიო პირები ცხოვრობდნენ და ისინი სარგებლობდნენ ამ წყაროთი“ (მთქმელი შ. ბალახაშვილი).

იზოლდას ტბა – სოფლის მაცხოვრებელთა გადმოცემით, იზოლდა 13 წლის გოგონა ყოფილა, რომელიც თურქებს უწამებიათ, მოუკლავთ და ტბაში ჩაუგდიათ, ერთი კვირა ეძებდა სოფელი გატაცებულ გოგონას და შემდეგ ტბაში უპოვიათ. კათოლიკე სოფელს დიდს ვერაფერს აკლებდა თურქები, მაგრამ ხალხის გატაცება, დაყარალება და წამება მაინც ხდებოდაო.

ტოტოს ლელე – „ყველა ეგრე ეძახის, აღარ ვიცი ვინ იყო, ან რა იყო.“

ხანუმის ყანები – „ქალბატონის ყანები, ვილაც დიდგვაროვნები ყოფილან და მათი ადგილი ყოფილა.“

ნაჯიბას ბალი – „ვილაც ნაჯიბა იყო და იმისი ბალები ყოფილა ადრე“.

ტოპონიმთა კულტურულ-ისტორიული დატვირთვა:

ადიგენის ტოპონიმთა სემანტიკური ანალიზი ცხადყოფს, რომ სახელწოდებათა მნიშვნელოვანი ნაწილი ასახავს არა მხოლოდ გეოგრაფიულ და ბუნებრივ მახასიათებლებს, არამედ ადგილობრივ სოციალურ-ეკონომიკურ გარემოსაც. მრავალი ტოპონიმი ისტორიულ მეხსიერებას ინარჩუნებს, რაც მათ კულტურულ მნიშვნელობას ზრდის. აღნიშნული მონაცემები ცხადყოფს, რომ ტოპონიმები დინამიკური ენობრივი ერთეულებია, რომლებიც დროთა განმავლობაში იცვლება და ახალ კონტექსტში იძენს მნიშვნელობას.

დასკვნა:

ნაშრომი ადასტურებს, რომ ადიგენის ტოპონიმები მდიდარია როგორც ლინგვისტური, ასევე კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობით. მათი სტრუქტურული და სემანტიკური ანალიზი საშუალებას გვაძლევს უკეთ გავიგოთ რეგიონის ენობრივი თავისებურებები, სოციალური ტრანსფორმაციები და კულტურული ტრადიციები. ტოპონიმთა დოკუმენტირება და მათი მეცნიერული კვლევა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ენობრივი მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და სამომავლო კვლევებისთვის შესაბამისი მონაცემების მომზადებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბედოშვილი, გ., ქართულ ტოპონიმთა განმარტებითი ლექსიკონი, თბ.

რესპონდენტების ინტერვიუები (ადიგენის მოსახლეობა) 2002.

გეოგრაფიულ სახელთა ორთოგრაფიული ლექსიკონი სარედაქციო კოლეგია: ზურაბ აბაშიძე (კოლეგიის თავმჯდომარე), შუქია აფრიდონიძე, ნანა ბოლაშვილი, რამინ გობეჯიშვილი, ც. ვაშაკიძე, ვ. მაღრაძე, ა. საყვარელიძე, პ. ცხადაია. 2009.

ზედგინიძე, გ., ჯავახური ლექსიკონი, თბ. 2014.

კიკნაძე, ზ., მითოლოგიური ენციკლოპედია ყმანვილთათვის, 2003.

ლიფონავა, კ., გეომორფოლოგიური ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი. 2002.

ორბელიანი, სულხან-საბა სიტყვის კონა, თბ. 1991.

ქაჯაია, ო., მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ. 2001.

ლლონტი, ალ., ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ. 1974.

<http://www.nplg.gov.ge/gwdict/>

<https://www.ena.ge/explanatory-online>

<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=list&d=33&t=dict&w1=%E1%83%92&w2=%E1%83%9D&w3=%E1%83%A4>